

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მექანიზატორი

2017 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მექანიზატორს

შპს გრანთ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
T. + 995 322 604 406

მოდიფიცირებული დასკვნა

ჩვენ ჩაატარეთ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული შპს მექანიზატორის (“კომპანია”) და მისი შვილობილების (ერთობლივად “ჯგუფის”) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა იმ ეფექტისა, რაც შესაძლოა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ქონოდათ საკითხებს, რომლებიც განხილულია “დასკვნის მოდიფიცირების საფუძვლების” აბზაცში, ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი საკითხის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრისათვის, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

დასკვნის მოდიფიცირების საფუძვლები

ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად დაინიშნეთ 2018 წლის ივნისში, შესაბამისად ვერ მოვახერხეთ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის მარაგების და ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციაზე დასწრება და ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მარაგების და ძირითადი საშუალებების რაოდენობის სიზუსტეზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ნებისმიერ სხვაობას მარაგების რაოდენობაში შესაბამისი გავლენა ექნებოდა კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე, აგრეთვე სხვაობას ძირითად საშუალებების ნაშთში გავლენა ექნებოდა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახულ ცვეთის ხარჯზე.

2017 წელს ჯგუფს დაემატა ორი შვილობილი კომპანია. შვილობილი კომპანიების ჯგუფში შემოსვლა მოხდა სათაო კომპანიის (შპს მექანიზატორი) საწესდებო კაპიტალში დამფუძნებლის მიერ ამ შვილობილ კომპანიებში (შპს ქართული ბოსტნეული და შპს მიწის რეაბილიტაციის სააგენტო) ფლობილი 100%-იანი წილის შეტანის გზით. ამ ტრანზაქციის განხორციელებისას არ იყო შეფასებული შვილობილი კომპანიების კაპიტალის სამართლიანი ღირებულება და შვილობილების წილი შეფასებული იყო მათი საწესდებო კაპიტალის ოდენობით, რაც ჩვენი აზრით არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. შპს ქართული ბოსტნეულის 100% წილი შპს მექანიზატორის კაპიტალში შეტანილი იქნა 23,981,210 ლარად (შპს ქართული ბოსტნეულის საწესდებო კაპიტალის ტოლი თანხით), როდესაც მისი დაგროვილი ზარალი ამ მომენტისთვის დაახლოებით 19,692,714 ლარს შეადგენდა, რაც იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ შპს ქართული ბოსტნეულის 100% წილის სამართლიანი ღირებულება მისი საწესდებო კაპიტალის საბუღალტრო ღირებულებაზე მნიშვნელოვნად

დაბალი უნდა ყოფილიყო და, შესაბამისად, სავარაუდოდ კომპანიის ინვესტიცია შეიღობილში არასწორად (გადაჭარბებულად) იქნა აღიარებული და ამავე დროს, სავარაუდოა, რომ აღნიშნული შეიღობილის აქტივები გაუფასურებული იქნებოდა, რაც არ იყო ასახული ანგარიშგებაში. ჩვენ აგრეთვე ვერ მოვიპოვეთ მეორე შეიღობილი კომპანიის (რომელში ინვესტიციაც 2,636,519 ლარად არის აღრიცხული) წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები.

ჩვენ არ გვქონდა წვდომა ასოცირებული კომპანიის ფინანსურ ინფორმაციაზე, ამიტომ ვერ გამოვთქვამთ რწმუნებას მასზე, არსებითად სწორად არის თუ არა წარდგენილი ასოცირებულ კომპანიაში ინვესტიციის თანხა, რაც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 3,600 ლარად არის ასახული.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით “აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე”. ჩვენ დამოუკიდებლად ვართ ჯგუფისგან, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტრთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ (“IESBA Code”) შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს ჯგუფის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს ჯგუფის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ ჯგუფს არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით ჯგუფის კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დაგვემოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში ჯგუფის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დაგვსკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მიუთითოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გააღებნა ექნებათ ჯგუფის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.
- მოვიპოვებთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ჯგუფში შემავალ კომპანიების, თუ ბიზნეს აქტივობების ფინანსურ ინფორმაციაზე, რათა გამოგვეხატა მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი პასუხისმგებლობაა ჯგუფის აუდიტის მართვა, გაძღოლა და სათანადოდ ჩატარება. ჩვენ ვრჩებით ერთადერთ პასუხისმგებელად ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

2019 წლის 14 იანვარი

ქეთევან ღამბაშიძე

რეგისტრირებული აუდიტორი

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით ჯგუფის კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავეგემოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში ჯგუფის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მიუთითოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გაუგებრა ექნებათ ჯგუფის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.
- მოვიპოვებთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ჯგუფში შემავალ კომპანიების, თუ ბიზნეს აქტივობების ფინანსურ ინფორმაციაზე, რათა გამოგვეხატა მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი პასუხისმგებლობაა ჯგუფის აუდიტის მართვა, გაძღოლა და სათანადოდ ჩატარება. ჩვენ ვრჩებით ერთადერთ პასუხისმგებელად ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

2019 წლის 14 იანვარი

ქეთევან ღამბაშიძე

რეგისტრირებული აუდიტორი



კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)	2016 წლის 1 იანვარი (არააუდირებული)
აქტივები				
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8	23,785,328	1,650,419	5,130,759
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,257,398	980,307	2,447,836
გადახდილი ავანსი	6	229,439	1,383,858	382,314
მარაგები	5	6,160,134	5,853,446	3,924,153
		<u>31,432,299</u>	<u>9,868,030</u>	<u>11,885,062</u>
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>				
არამატერიალური აქტივები		42,317	42,317	42,317
ძირითადი საშუალებები	4	146,862,191	157,241,849	172,503,750
ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიაში		3,600	3,600	3,600
		<u>146,908,108</u>	<u>157,287,766</u>	<u>172,549,667</u>
სულ აქტივები		<u><u>178,340,407</u></u>	<u><u>167,155,796</u></u>	<u><u>184,434,729</u></u>
კაპიტალი და ვალდებულებები				
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>				
საწესდებო კაპიტალი	9	335,755,375	267,274,821	241,749,821
აკუმულირებული მოგება/ზარალი		(168,457,005)	(124,784,041)	(99,186,566)
		<u>167,298,370</u>	<u>142,490,780</u>	<u>142,563,255</u>
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>				
სავაჭრო და სხვა	0	2,249,491	1,760,647	1,712,401
ვალდებულებები				
მიღებული ავანსი		666,107	527,259	294,650
მოკლევადიანი სესხები		70,000	815,462	-
მიღებული დაფინანსება	12	3,556,440	-	-
		<u>6,542,038</u>	<u>3,103,368</u>	<u>2,007,051</u>
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>				
გრძელვადიანი სესხები	11	4,500,000	21,561,648	39,864,423
		<u>4,500,000</u>	<u>21,561,648</u>	<u>39,864,423</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u><u>178,340,407</u></u>	<u><u>167,155,796</u></u>	<u><u>184,434,729</u></u>

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2019 წლის 14 იანვარს:

მურთაზ ყიფიანი

ნიკოლოზ თოიძე

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

თანდართული შენიშვნები 10-31 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი		2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი (არააუდიტებული)	2016 წლის 1 იანვარი (არააუდიტებული)
	შენიშვნა			
აქტივები				
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8	23,785,328	1,650,419	5,130,759
საფაქრო და სხვა მოთხოვნები	7	1,257,398	980,307	2,447,836
გადახდილი ავანსი	6	229,439	1,383,858	382,314
მარაგები	5	6,160,134	5,853,446	3,924,153
		<u>31,432,299</u>	<u>9,868,030</u>	<u>11,885,062</u>
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>				
არამატერიალური აქტივები		42,317	42,317	42,317
ძირითადი საშუალებები	4	146,862,191	157,241,849	172,503,750
ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიაში		3,600	3,600	3,600
		<u>146,908,108</u>	<u>157,287,766</u>	<u>172,549,667</u>
სულ აქტივები		<u><u>178,340,407</u></u>	<u><u>167,155,796</u></u>	<u><u>184,434,729</u></u>
კაპიტალი და ვალდებულებები				
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>				
საწესდებო კაპიტალი	9	335,755,375	267,274,821	241,749,821
აკუმულირებული მოგება/ზარალი		(168,457,005)	(124,784,041)	(99,186,566)
		<u>167,298,370</u>	<u>142,490,780</u>	<u>142,563,255</u>
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>				
საფაქრო და სხვა ვალდებულებები	0	2,249,491	1,760,647	1,712,401
მიღებული ავანსი		666,107	527,259	294,650
მოკლევადიანი სესხები		70,000	815,462	-
მიღებული დაფინანსება	12	3,556,440	-	-
		<u>6,542,038</u>	<u>3,103,368</u>	<u>2,007,051</u>
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>				
გრძელვადიანი სესხები	11	4,500,000	21,561,648	39,864,423
		<u>4,500,000</u>	<u>21,561,648</u>	<u>39,864,423</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u><u>178,340,407</u></u>	<u><u>167,155,796</u></u>	<u><u>184,434,729</u></u>

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2019 წლის 14 იანვარს:

მურთაზ ყიფიანი

გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ თოიძე

ფინანსური დირექტორი

თანდართული შენიშვნები 10-31 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2017 წელი	2016 წელი (არააუდიტებული)
შემოსავალი		5,406,891	5,773,850
შემოსავალი (საგაზაფხულო პროექტი)		-	9,368,088
შემოსავალი მომსახურებიდან		5,406,891	15,141,938
თანამშრომელთა ანაზღაურება		(1,053,466)	(2,170,554)
საწვავის ხარჯი		(1,287,937)	(4,667,277)
ტექნო პარკის მოვლის დანახარჯები		(4,399,645)	(5,013,037)
ცვეთა და ამორტიზაცია		(12,091,507)	(15,582,273)
სხვა შემოსავალი		24,431	15,741
სხვა ხარჯი		(343,467)	(664,840)
მომსახურების თვითღირებულება		(19,151,591)	(28,082,240)
მთლიანი მოგება /(ზარალი)		(13,744,700)	(12,940,302)
საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	13	(4,891,950)	(5,757,280)
საოპერაციო მოგება /(ზარალი)		(18,636,650)	(18,697,582)
ფინანსური შემოსავალი		82,532	267,265
ფინანსური ხარჯი		(1,050,357)	(2,045,243)
საკურსო სხვაობები		334,659	(1,778,780)
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		(122,676)	(353,686)
ქონების გადასახადი		(1,538,940)	(1,709,128)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	14	(1,129,590)	(1,280,321)
მოგება /(ზარალი) დაბეგვრამდე		(22,061,022)	(25,597,475)
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა ზარალი		(22,061,022)	(25,597,475)

თანდართული შენიშვნები 10-31 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ღარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
2016 წლის 1 იანვარი	241,749,821	(99,186,566)	142,563,255
წლის მოგება/ზარალი	-	(25,597,475)	(25,597,475)
სხვა გაერთიანებული შემოსავალი	-	-	-
სულ გაერთიანებული შემოსავალი	-	(25,597,475)	(25,597,475)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	25,525,000	-	25,525,000
მესაკუთრებთან დაკავშირებული ტრანზაქციები	25,525,000	-	25,525,000
2016 წლის 31 დეკემბერი	267,274,821	(124,784,041)	142,490,780
წლის მოგება/ზარალი	-	(22,061,022)	(22,061,022)
შვილობილის აკუმულირებული შედეგი	-	(21,611,942)	(21,611,942)
შექმნის თარიღში	-	-	-
სხვა გაერთიანებული შემოსავალი	-	-	-
სულ გაერთიანებული შემოსავალი	-	(43,672,964)	(43,672,964)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	68,569,129	-	68,569,129
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(88,576)	-	(88,576)
მესაკუთრებთან დაკავშირებული ტრანზაქციები	68,480,554	-	68,480,554
2017 წლის 31 დეკემბერი	335,755,375	(168,457,005)	167,298,370

თანდართული შენიშვნები 10-31 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ლარი	2017 წელი	2016 წელი (არააუდირებული)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან ძირითადი საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	6,218,448	18,096,277
სხვა მომსახურებებისთვის მიღებული თანხები	9,529	30,591
საიჯარო შემოსავლებიდან მიღებული თანხები	12,276	-
სადაზღვევო შემთხვევების ანაზღაურებიდან მიღებული თანხები	-	387,201
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფული	(5,607,814)	(6,472,125)
გადახდილი ხელფასები	(3,686,912)	(6,387,274)
მივლინებები	(84,801)	(133,339)
საწვავი	(2,135,198)	(5,551,879)
იჯარა და უსაფრთხოება	(133,920)	(134,402)
საკომისიოები	(11,546)	(7,427)
გადახდილი გადასახადები	(224,994)	(3,050,835)
სხვა გადახდები	(1,571,107)	(4,196,255)
	(7,216,039)	(7,419,467)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(427,783)	(557,333)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფული	1,905,192	75,900
	1,477,409	(481,433)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შენატანები კაპიტალში	41,917,000	25,500,000
კოლოპერატივებისთვის სასოფლო სამეურნეო ტექნიკის შესაძენად მიღებული დაფინანსება	3,556,440	-
მიღებული სესხები	6,500,000	845,000
დაფარული სესხები	(23,328,949)	(19,979,767)
გადახდილი პროცენტი	(930,612)	(2,006,098)
მიღებული პროცენტი	82,532	267,265
შერწყმის შედეგად შვილობილის ბალანზე არსებული ფულის ნაშთი პერიოდის ბოლოს	3,149	-
	27,799,560	4,626,401
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა / (კლება)	22,060,930	(3,274,498)
ფულადი სახსრების საწყისი ნაშთი	1,650,419	5,130,759
საკურსო სხვაობები	73,979	(205,842)
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების საბოლოო ნაშთი	23,785,328	1,650,419

თანდართული შენიშვნები 10-31 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს “მექანიზატორის” (შემდგომში “კომპანია”) და მისი შვილობილი კომპანიების შპს “ქართული ბოსტნეულის” და შპს “მიწის რეაბილიტაციის სააგენტოს” ფინანსურ ინფორმაციას. შპს მექანიზატორი (შემდგომში “კომპანია”) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2009 წლის 30 დეკემბრიდან. კომპანია ახორციელებს საქმიანობას შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ზემო აღექსევეკა, ნაკვ. 002/027.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა და ფერმერთა ინფორმაციით უზრუნველყოფა, კონსულტაცია, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში და ნიადაგის თესვისწინა და შემდგომი სამუშაოების ჩატარება.

2 შეღბენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელი (დისკოტირებული) ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულების შეფასების დეტალები მოცემულია განმარტებით შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების პალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს ჯგუფის ოპერაციებისა და ჯგუფის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე.

კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 17-ე შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ჯგუფმა ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახდილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება კომპანიის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი სტანდარტები და დამატებები პირველად გამოყენებულია 2017 წელს, მათ არ აქვთ მატერიალური ზეგავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე.

ახალი და გადახდილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ბასს 7-ში, ფულადი ნაკადების ანგარიშგება, ინიციატივა ინფორმაციის გამჟღავნების სფეროში

ბასს 7-ის შესწორების მიხედვით, რომელიც ძალშია 2017 წლის 1 იანვრიდან, საწარმომ ისეთი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვადებულებებში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც განპირობებულია ფულადი ან არაფულადი ნაკადებით, რომლებიც მოიცავს ასევე ქვეკატეგორიებს.

ცვლილებები ბასს 12-ში, მოგების გადასახადი

IASB-მა გამოუშვა დოკუმენტი გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება არარეალიზებული ზარალისათვის, რომლითაც მცირე მასშტაბის ცვლილებები შევიდა ბასს 12-ში, “მოგების გადასახადი”. ამ განახლების მიზანია განსაზღვროს თუ როგორ აღირიცხოს გადავადებული მოგების გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრულ სასესო ინსტრუმენტებთან. ნაწილობრივ, სადაც საბაზრო საპროცენტო განაკვეთის შემცირება იწვევს ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შემცირებას.

ცვლილებები აზუსტებენ შემდეგ ასპექტებს:

- არარეალიზებული ზარალი სასესო ინსტრუმენტებზე, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია სამართლიანი ღირებულებით, ხოლო საგადასახადო მიზნებისთვის აისახება თვითღირებულებით, წარმოშობს გამოკეტივად დროებით სხვაობას, მიუხედავად იმისა, ამ ინსტრუმენტის მფლობელი მის გაყიდვას აპირებს თუ გამოყენებას;
- აქტივის საბაზრო ღირებულება არ გვზღუდავს სავარაუდო მოგების გადასახადის განსაზღვრებაში;
- განსაზღვრული მომავალი დასაბეგრი მოგება არ შეიცავს იმ საგადასახადო გამოკეტივებს, რომლებიც წარმოქმნილია გამოსაქვითი დროებითი სხვაობების შებრუნებით;
- ჯგუფმა უნდა განსაზღვროს საგადასახადო კოდექსის შეზღუდვები დასაბეგრი მოგების იმ წყაროზე, რომლებსაც შეუძლიათ შეამცირონ გამოსაქვითი დროებითი სხვაობების შებრუნება. თუ საგადასახადო არ შემოიღებს ამგვარ შეზღუდვას, მაშინ კომპანიას შეეძლება ეს დროებითი გამოკეტივადი სხვაობა შეაფასოს სხვა დროებით გამოსაქვითი სხვაობებთან ერთად.

ცვლილებების გამოყენება მოითხოვება რეტროსპექტულად. ხელმძღვანელობა ამ ცვლილებებისგან არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

წლიური განახლებები 2014-2016

წლიური გაუმჯობესებები შევიდა რამოდენიმე ფასს სტანდარტში 2014-2016 წლების განმავლობაში. ჯგუფთან დაკავშირებული ცვლილებები შეჯამებულია ქვემოთ:

ფასს 12 განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში მონაწილეობის შესახებ

სტანდარტის გამოყენების სფეროს დაზუსტება.

ფასს 12 გამოყენებულ უნდა იქნას რეტროსპექტულად ბასს 8-ის შესაბამისად.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერჯერობით არ მიუღია ჯგუფს

ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და შესაბამისად ჯგუფს ჯერ არ მიუღია.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი ცვლილება მიღებულ იქნება ჯგუფის საანგარიშო პოლიტიკებში პირველი პერიოდისთვის, ცვლილებების ძალაში შესვლის დღიდან. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ახალი სტანდარტების, ცვლილებებისა და ინტერპრეტაციების შესახებ, რომლებიც სავარაუდოდ შეეხება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები უკვე გამოქვეყნებულია, მაგრამ არ არის მოსალოდნელი რომ ისინი იქონიებენ მატერიალურ გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოაქვეყნა თავისი ბოლო ცვლილება შასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტებთან* დაკავშირებით, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 39 *ფინანსური ინსტრუმენტები*: აღიარება და შეფასება. ახალი სტანდარტი მნიშვნელოვან ცვლილებებს ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე და შემოაქვს ახალი განსაზღვრება “მოსალოდნელი ზარალი” ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის. ფასს 9 ასევე გვთავაზობს ახალ აღრიცხვას ჰეჯირებაზე.

ჯგუფის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ახალი სტანდარტის მოთხოვნის მიხედვით, გამოყენებული უნდა იყოს საანგარიშო წლის დასაწყისში ან 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ.

ფასს 15 შემოსავალი მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან

ფასს 15 წარმოადგენს ახალ მოთხოვნას რეალიზაციის აღიარებასთან დაკავშირებით და იგი ანაცვლებს ბასს 18 *ამონაგებს*, ბასს 11 *სამშენებლო კონტრაქტებს* და სხვა რეალიზაციასთან დაკავშირებულ სტანდარტებს. ახალი სტანდარტი საუბრობს კონტროლთან დაკავშირებულ რეალიზაციის მოდელზე და იძლევა ისეთ დეტალებზე განმარტებებს, რაც სხვა ფასს-ებში არ იყო აქამდე დაფარული. მათ შორის, როგორ აღირიცხოს ბუღალტრულად მრავალპროფილიანი ვალდებულებები, ფასების ცვალებადობა, მომხმარებლების დაბრუნებული უფლებები, მომწოდებლების გამოსყიდული ოფციები და სხვა კომპლექსური საკითხები.

ფასს 15 ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფის მენეჯმენტს ჯერ არ შეუფასებია ამ სტანდარტთან დაკავშირებული ეფექტი რა გავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 აწესებს ახალ მოთხოვნებს იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფასს 16 მოითხოვს იჯარა აღირიცხოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივი “გამოყენების უფლებით” და იჯარის ვალდებულება.

ფასს 16 ასევე:

- ცვლის იჯარის განმარტებას;
- აწესებს მოთხოვნებს, თუ როგორ აღირიცხოთ აქტივი და ვალდებულება, ასევე რთული საკითხები, როგორებიცაა არასაიჯარო ელემენტები, ცვლადი იჯარის გადასახადები და ოპციის პერიოდი;
- ითვალისწინებს გამონაკლისებს მოკლევადიან იჯარაზე და დაბალფასიანი აქტივების იჯარებზე;
- ცვლის აღრიცხვას რეალიზაციის და უკუიჯარის გარიგებებზე;
- ძირითადად ინარჩუნებს ბასს 17-ის მიდგომას;
- გვაცნობს ახსნა-განმარტებითი შენიშვნების ახალ მოთხოვნებს.

შპსს 16 ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან. სტანდარტის ამ ვადაზე ადრე გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან. ხელმძღვანელობას ჯერ არ შეუფასებია ამ ცვლილების გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ნაგარიშგებაზე.

IFRIC 22 უცხოურ ვალუტაში განხორციელებლი ოპერაციები და წინასწარი გადახდა

IFRIC 22 (ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭო) განსაზღვრავს კონვერტაციისას საჭირო გაცვლით კურსს, როდესაც დაკავშირებულ აქტივებთან, ხარჯებთან ან შემოსავალთან მიმართებით ხდება გადახდა ან თანხის წინასწარი მიღება.

IFRIC 22-ის მიხედვით, დაკავშირებული აქტივის, ხარჯის, შემოსავლის ან მისი ნაწილის თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული გაცვლითი კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, როდესაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს თანხის გადახდით ან წინასწარი მიღებით წარმოქმნილ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას.

თუ ჯგუფს აქვს მრავალჯერადი გადახდის ან წინასწარ მიღების ოპერაციები, ჯგუფმა ოპერაციის თარიღი უნდა განსაზღვროს ყოველ ასეთი ტრანზაქციაზე ინდივიდუალურად.

ინტერპრეტაცია ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდისთვის. ნებადართულია ადრეული გამოყენება.

2.6 შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

2017 წლის 31 დეკემბერი, შვილობილი	წილი %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო	ჯგუფში შემოსვლის თარიღი
შპს “ქართული ბოსტნეული”	100%	საქართველო	02/02/2012	სოფლის მეურნეობა	01/11/2017
შპს “მიწის რეაბილიტაციის სააგენტო”	100%	საქართველო	29/07/2011	სოფლის მეურნეობა	01/11/2017

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 კონსოლიდაციის საფუძველები

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის ის ორგანიზაციები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე.

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვის აღრიცხვისათვის გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, თავდაპირველად აღირიცხება შესყიდვის დღისთვის მათი სამართლიანი ღირებულებით, უმცირესობის წილის მოცულობის მიუხედავად.

ის ნამეტი ღირებულება, რომლითაც შეძენისას გადახდილი თანხა (ან სხვა სახის ანაზღაურება) აღემატება შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების იმ სამართლიან ღირებულებას, რომელიც მათ ქონდათ შესყიდვის მომენტში, აღიარდება კონსოლიდირებულ ბალანსში, როგორც გუდვილი.

შექმნილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება არის სხვაობა შექმნილი იდენტიფიცირებადი აქტივების სამართლიან ღირებულებასა და შექმნილი იდენტიფიცირებადი ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების ჩათვლით, სამართლიან ღირებულებას შორის შესყიდვის მომენტისათვის. თუ შექმნისას გადახდილი საფასური ნაკლებია შექმნილი კომპანიის წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

წილი შეიღობილ კომპანიებში, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი წარმოადგენს უმცირესობის წილს. უმცირესობის წილი ანგარიშგების თარიღისთვის წარმოადგენს უმცირესობაში მყოფ აქციონერთა წილს შეიღობილი კომპანიის იდენტიფიცირებადი ნეტო აქტივების სამართლიან ღირებულებაში შესყიდვის დღისათვის, რასაც ემატება მათი წილი კაპიტალის ცვლილებაში შესყიდვის დღის შემდეგ. უმცირესობის წილი წარმოდგენილია კაპიტალში.

ზარალი, რომელიც განაწილებულია უმცირესობის წილზე არ აღემატება უმცირესობის წილს შეიღობილი კომპანიის კაპიტალში, თუ უმცირესობის წილის მფლობელებს არ აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი ნაწილდება ჯგუფზე.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებით ელიმინირებული ტრანზაქციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციიდან ელიმინირებულია (გაქვითულია).

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2017 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.5922 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 3.1044 ლარს (2016 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6468 ლარი და ერთი ევრო 2.7940 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შექმნასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალკე ძირითად საშუალებებად.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწვობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად.

იჯარით აღებული შენობები შედის ძირითად საშუალებებში თუ ისინი ფინანსური იჯარით იმართება. ასეთი აქტივები იცვითება მოსალოდნელი ექსპლუატაციის პერიოდზე ან იჯარის პერიოდზე, რომელიც უფრო მოკლე იქნება.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწრიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწრილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწვევისთანავე.

ცვეთის დარიცხვა სხვადასხვა ჯგუფის აქტივებზე ხდება სხვადასხვა მეთოდით:

თვითმავალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა იყოფა სიმძლავრეების მიხედვით და სხვადასხვა სიმძლავრის ტექნიკისთვის სხვადასხვა მოსალოდნელი მოტოსაათების რაოდენობა მიიჩნევა სასარგებლო მომსახურების ვადად (საფუძვლად აღებულია ASAE (American Society of Agricultural Engineers) სტანდარტები, (სტანდარტული ფორმულა) რომელიც ეფუძნება 30-წლიან სტატისტიკურ დაკვირვებებს). შემდგომ ასეთ აქტივებს ცვეთა ერიცხება ფაქტობრივად ნამუშევარი მოტოსაათების პროპორციულად.

რაც შეეხება დანარჩენ ძირითად საშუალებებს, გარდა მიწისა, აქ გამოიყენება შემცირებადი ნაშთის მეთოდი (კერძოდ 2014 წლიდან გამოყენებულია იმ დროისათვის არსებული ე.წ. საგადასახადო ცვეთის ჯგუფების პროცენტები). მიწას ცვეთა არ ერიცხება.

3.4 არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოადგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება/ზარალზე. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 7-15 წლით პროგრამებისთვის, უფლებებისა და სხვა მსგავსი არამატერიალური აქტივებისთვის.

3.5 იჯარა

ბასს 17-ის შესაბამისად, იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური მფლობელობა გადაეცემა მოიჯარეს, თუ მას ასევე გადაეცემა იჯარით აღებული აქტივის ყველა რისკი და ვალდებულება. აქტივი აღიარებულია იჯარის კონტრაქტის დაწყებისას იჯარით აღებული აქტივის სამართლიანი ღირებულებით ან, თუ უფრო დაბალია, იჯარის გადასახადების დისკონტირებული ღირებულებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაბამისი თანხა აღიარებულია როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება, მიუხედავად იმისა, რომ იჯარით გათვალისწინებული თანხის ნაწილის გადახდა შეიძლება მოხდეს წინასწარ.

შემდგომში, ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით ფლობილი აქტივების აღრიცხვა, მაგალითად ცვეთა და აქტივის სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, ხდება ისეთნაირადვე, როგორც იმ მსგავსი აქტივების აღრიცხვა, რომლებიც იურიდიულად ეკუთვნის ჯგუფს. ფინანსურ იჯარაზე ვალდებულება მცირდება გადახდილი საიჯარო გადასახდელების შესაბამისად, რომლებიც შემცირებულია ფინანსური ხარჯებით, რომლებიც თავის მხრივ მოგება-ზარალში ფინანსურ ხარჯებად აღიარდება. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი წარმოადგენს დასაფარი ძირი თანხის მუდმივ პროპორციას და აღიარდება მოგება-ზარალში საიჯარო ვადის განმავლობაში.

ყველა სხვა იჯარა განიხილება როგორც საოპერაციო იჯარა. იჯარით აღებულ ქონებაზე გადახდები აღიარებულია წლის ხარჯებში წრფივი მეთოდით, ასევე ხარჯად აღიარდება მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა მომსახურება და სადაზღვევო, როგორც გაწეული ხარჯი.

3.6 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების ან მომსახურების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივ საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურა ან ვალდებულება გაუქმდება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები (გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც ბალანსში სამართლიანი ღირებულებით არის აღიცხული, ხოლო მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილებები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება), თავდაპირველად აღირიცხება სამართლიან ღირებულებით, რასაც აგრეთვე ემატება ტრანზაქციის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შესაბამისი შეფასება

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა პეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები
- სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, სამართლიანი ღირებულების ცვლილებების მოგება-ზარალში აღიარებით
- გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები
- ვადიანი ინვესტიციები.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას სხვადასხვა კატეგორიებს მიეკუთვნება მათი მახასიათებლებისა და დანიშნულების შესაბამისად. ფინანსური ინსტრუმენტის დაყოფა კატეგორიებად მნიშვნელოვანია გამომდინარე იქიდან, რომ მისი შედეგი შესაძლებელია აისახოს როგორც მოგება-ზარალში, ასევე პირდაპირ კაპიტალზე. იხილეთ შენიშვნა 18.2. ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური აქტივების კატეგორიებად დაყოფასთან დაკავშირებით.

ზოგადად, ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს ყოველდღიური აღრიცხვის საფუძველზე. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე ერთხელ წელიწადში. ყველა შემოსავალი და ხარჯი, დაკავშირებული ფინანსურ აქტივთან აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პუნქტად “ფინანსური ხარჯი” ან “ფინანსური შემოსავალი”, გარდა სავაჭრო მოთხოვნების საექვო ნაწილისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა ხარჯების სახით.

i სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულს და ფულის ექვივალენტებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში ისინი წარდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშევა, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ ჯგუფი ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის სხვაობით. ამ მიზნებისთვის მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირება ხდება სავაჭრო მოთხოვნისთვის შესაბამისი თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ის მოთხოვნები, რომლებისგანაც თანხების ამოღება მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

ფული და ფულის ექვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე, ფულს ხელზე და ფულს გზაში.

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში მოიცავს გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებს და აგრეთვე იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას კომპანია აკლასიფიცირებს ამ კატეგორიაში. განმარტების თანახმად, ყველა ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ აკმაყოფილებს ჰეჯირების საბუღალტრო აღრიცხვას, მიეკუთვნება ამ კატეგორიას.

ნებისმიერი მოგება ან ზარალი რომელიც მიიღება წარმოებული ფინანსური აქტივებიდან ეფუძნება სამართლიან ღირებულებაში ცვლილებას, რომელიც აქტიურ ბაზარზე განისაზღვრება საბაზრო გარიგებების შედეგად, ხოლო არააქტიურ ბაზარზე შეფასების მოდელის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, ბონდებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილი 17.2 შენიშვნაში.

ii სასესხო ვალდებულებები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, სესხის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. სამართლიან და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება მოგება/ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც სესხი მესაკუთრებისგანაა აღებული. ამ შემთხვევაში, განსხვავდება აღიარდება საკუთარ კაპიტალში, დამატებითი კაპიტალის სახით. შემდგომ სესხები აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით, თვითღირებულებასა და გამოსყიდვად ღირებულებას შორის სხვაობა აისახება მოგება/ზარალში. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო ხარჯი. გამონაკლისს წამოადგენს სესხის ის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია განსაზღვრულ შესყიდვასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან, რომელიც კლასიფიცირდება როგორც კვალიფიციური აქტივი.

iii საეჭრო და სხვა ვალდებულებები

საეჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარდგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

3.8 გაუფასურება

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია აქტივის სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, ამ აქტივს არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მისი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის შებრუნება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ არის გადაფასებული მდგომარეობით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის შებრუნება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველ საანგარიშგებო თარიღში ფინანსური აქტივები ფასდება გაუფასურების ინდიკატორისთვის. ფინანსური აქტივების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ ერთი ან რამდენიმე შემთხვევის მოხდენის ალბათობა, ინვესტიციის სამომავლო ფულად ნაკადებზე მოახდენს გავლენას.

ამორტიზირებული ღირებულებით წარმოდგენილი ფინანსური აქტივებისთვის, გაუფასურება წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის სხვაობას. ყველა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით, გარდა საეჭრო მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდა და ეს შემცირება შესაძლებელია ობიექტურად დაკავშირებულ იქნას გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ შემთხვევასთან, წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალი აისახება მოგება ზარალზე იმ პირობით, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების თარიღისთვის არ გადააჭარბებს აქტივის ამორტიზირებად ღირებულებას, გაუფასურების არ აღიარების შემთხვევაში.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი მატება შემდგომში გაუფასურებით, უნდა აღიარდეს კაპიტალში.

3.9 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით.

ცვლილებები კომპანიის წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ) ხორციელდება კომპანიის მფლობელ(ებ) მიერ. კაპიტალის შევსება ხდება როგორც ფულადი, ასევე არაფულადი სახით (სხვადასხვა აქტივების სახით).

კაპიტალი იმ შემთხვევაში აღიარდება საწესდებო კაპიტალის ნაწილად, თუ ის ნამდვილად არის შეტანილი კომპანიაში.

დაგროვილი მოგება/ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას ან აკუმულირებულ ზარალს.

ყველა ტრანზაქცია რომელიც დაკავშირებულია მშობელ კომპანიასთან, როდესაც ისინი გვევლინებიან მშობელი კომპანიის რანგში, აღირიცხება კაპიტალის ცალკე მუხლებში.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

3.10 ანარიცხები

ანარიცხი აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გაღინება. თუ ევექტი მატერიალურია, ანარიცხები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით წინასწარ საგადასახადო განაკვეთზე, რაც ასახავს ფულის დროში ღირებულებას.

მარაგების მოძველებასთან დაკავშირებული ანარიცხები

მარაგებთან დაკავშირებული ანარიცხები იქმნება უმოძრაო მარაგებისთვის, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მარაგებს და კომპონენტებს, რომლებიც მენეჯმენტის შეფასების მიხედვით, დიდი ალბათობით აღარ გამოიყენება წარმოების პროცესში თავისი სპეციფიკური ბუნების გამო, ან იმის გამო, რომ მოძველებულია.

მარაგებთან დაკავშირებული ანარიცხების საბალანსო ღირებულების განსაზღვრა გულისხმობს ვარაუდის ჩამოყალიბებას გარკვეული პროდუქციის, კომპონენტის, სათადარიგო ნაწილების სამომავლო მოთხოვნებზე, რომელიც შეიძლება სწორი არ აღმოჩნდეს, თუ ჯგუფი გარკვეულ კომპონენტებს განსხვავებული გზით გამოიყენებს, ან თუ შესაძლებელი იქნება მათი რეალიზაცია ნავარაუდებისგან განსხვავებული ღირებულებით.

საექვო ვალების ანარიცხები

ჯგუფს აქვს პოლიტიკა, რომლის მიხედვით საექვო ვალებად აღიარდება 12 თვეზე მეტი ხანდაზმულობის მქონე სავაჭრო მოთხოვნები, გარდა იმ შემთხვევისა თუ მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მიუხედავად ასეთი ხანდაზმულობისა დებიტორისგან თანხის ამოღება ახლო მომავალში დასაბუთებულად მოსალოდნელია.

3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მოგების გადასახადში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ევექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი მოდელის ("მოგების გადასახადის ესტონური მოდელი") მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების

განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიის მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები, რომელიც განიხილება მოგების განაწილებად (საჩუქარი; გადახდები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა.)

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

2017 წელს და შემდგომ პერიოდებში გამოცხადებულ დივიდენდებზე, რომლებიც ნაწილდება 2016 და წინა პერიოდებში დაგროვილი მოგებიდან, მოგების გადასახადის დათვლისას გაითვალისწინება ის მოგების გადასახადი რაც წინა მოდელით ამ დაგროვილი მოგებიდან უკვე იყო გადახდილი.

აღნიშნული ცვლილების გამო, 2017 წლის 1-ლი იანვრის შემდეგ აღარ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

გადავადებული მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრამდე

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (სხვა ვიდრე ბიზნეს კომბინაცია), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები აღიარებულია დასაბეგრი დროებითი განსხვავებებით, რომლებიც უკავშირდება შეიღობილ კომპანიებსა და ასოციაციებში ინვესტიციებს და ერთობლივ საწარმოებში ინტერესებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპანიას შეუძლია დროებითი განსხვავების შესწორებაზე კონტროლი და სავარაუდოა, რომ დროებითი განსხვავება არ შესწორდება უახლოეს მომავალში. გადავადებული საგადასახადო აქტივები, რომლებიც წარმოიქმნება ამგვარ ინვესტიციებსა და ინტერესებთან დაკავშირებული დროებითი განსხვავებებისაგან, არის აღიარებული მხოლოდ საკმარისი დასაბეგრი მოგების რაოდენობამდე. ასევე, მოსალოდნელი უნდა იყოს მათი დაბრუნება ახლო მომავალში.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

3.12 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ნებადართული სავაჭრო ფასდამობების გათვალისწინებით.

შემოსავალი შემცირებულია მომხმარებლების სავარაუდო დაბრუნებებისა და შეღავათების შესაბამისად.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- ჯგუფმა მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- ჯგუფმა აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისთვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

მომსახურების გაწევა

შემოსავალი მომსახურებიდან აღიარდება, როცა:

- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება იქნას შეფასებული;
- მოსალოდნელია რომ ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- ანგარიშგების თარიღისთვის კონტრაქტის დასრულების სტადია საიმედოდ იქნეს შეფასებული; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული და ტრანზაქციის დასრულებისთვის საჭირო ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

4 ძირითადი საშუალებები

ლარი

	მიწა	შენობები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა და სხვა	სატრანსპორტო საშუალებები	დაუშთაფრებული მშენებლობა	ბიოლოგიური აქტივები	სულ
<i>ღირებულება</i>								
2016 წლის 1 იანვარი	1,098,413	22,129,106	194,124,075	620,947	3,937,683	2,690,360	20,376	224,620,960
შემოსვლა	54,847	897,880	657,571	27,198	44,779	19,325	-	1,701,600
გასვლა	(73,252)	-	(340,750)	-	(149,878)	(2,696,435)	-	(3,260,315)
2016 წლის 31 დეკემბერი	1,080,008	23,026,986	194,440,896	648,145	3,832,584	13,250	20,376	223,062,245
შემოსვლა	-	22,638	305,198	66,037	239,435	66,228	-	699,536
გასვლა	(164,389)	-	(1,876,728)	-	(660,302)	-	-	(2,701,419)
ბიზნეს გაერთიანების დროს შეძენა	100,316	733,435	2,044,132	4,839	40,833	-	-	2,923,555
2017 წლის 31 დეკემბერი	1,015,934	23,783,060	194,913,498	719,020	3,452,550	79,478	20,376	223,983,917
<i>ღაგროგილი ცვეთა და გაუფასურება</i>								
2016 წლის 1 იანვარი	-	3,534,714	44,806,459	296,695	1,686,312	-	1,443	50,325,623
წლის ცვეთა	-	962,459	14,220,145	63,436	494,722	-	-	15,740,762
გასვლის შედეგად კორექტირება	-	-	(97,544)	-	(148,445)	-	-	(245,989)
2016 წლის 31 დეკემბერი	-	4,497,173	58,929,060	360,131	2,032,589	-	1,443	65,820,396
წლის ცვეთა	-	913,475	10,809,983	59,014	309,034	-	-	12,091,506
გასვლის შედეგად კორექტირება	-	-	(443,032)	-	(347,145)	-	-	(790,177)
2017 წლის 31 დეკემბერი	-	5,410,648	69,296,011	419,145	1,994,478	-	1,443	77,121,725
<i>საბალანსო ღირებულება</i>								
2016 წლის 31 დეკემბერი	1,080,008	18,529,813	135,511,836	288,014	1,799,995	13,250	18,933	157,241,849
2017 წლის 31 დეკემბერი	1,015,934	18,372,412	125,617,486	299,875	1,458,072	79,478	18,933	146,862,191

5 მარაგები

ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარების და ტექნიკის სათადარიგო ნაწილები	7,757,805	6,147,743
საწვავი	369,400	534,293
სასოფლო სამეურნეო პროდუქცია	116,461	115,557
სხვა მარაგი	16,954	16,954
მარაგების გაუფასურების რეზერვი	(2,100,486)	(961,101)
	6,160,134	5,853,446

მარაგებთან დაკავშირებული ანარიცხები იქმნება უმოძრაო მარაგებისთვის, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მარაგებს და კომპონენტებს, რომლებიც მენეჯმენტის შეფასების მიხედვით, დიდი ალბათობით აღარ გამოიყენება წარმოების პროცესში თავისი სპეციფიკური ბუნების გამო, ან იმის გამო, რომ მოძველებულია.

მარაგებთან დაკავშირებული ანარიცხების საბალანსო ღირებულების განსაზღვრა გულისხმობს ვარაუდის ჩამოყალიბებას გარკვეული პროდუქციის, კომპონენტის, სათადარიგო ნაწილების სამომავლო მოთხოვნებზე, რომელიც შეიძლება სწორი არ აღმოჩნდეს, თუ კომპანია გარკვეულ კომპონენტებს განსხვავებული გზით გამოიყენებს, ან თუ შესაძლებელი იქნება მათი რეალიზაცია ნავარაუდებისგან განსხვავებული ღირებულებით.

6 გადახდილი ავანსები

ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	214,341	808,107
ავანსები თანამშრომლებზე	15,098	16,241
წინასწარ გადახდილი გადასახადები (წმინდა)	-	559,510
	229,439	1,383,858
	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
წინასწარ გადახდილი გადასახადები (წმინდა)	-	-
მოგების გადასახადი	-	97,399
საშემოსავლო	-	47,866
გადასახდელი დღგ	-	(9,495,579)
უკუდაბეგვრის დღგ	-	(42,240)
ჩასათვლელი დღგ	-	11,221,235
აქციზი	-	2,082
ქონების გადასახადი	-	(1,228,406)
მიწის გადასახადი	-	(38,536)
სხვა გადასახადები	-	(4,311)
	-	559,510

საგადასახადო აქტივები დ ვალდებულებები წარდგენილია ან გადახდილ ავანსებში ან ვალდებულებებში იმის მიხედვით, თუ როგორია წმინდა ნაშთი. 2017 წლის ბოლოს წმინდა ნაშთი გადასახადებზე არის ვალდებულების მხარეს, ამიტომ თანხაც ბალანსში ვალდებულებების ნაწილშია (იხ. შენიშვნა 11.1)

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	2,661,982	2,357,862
სხვა მოთხოვნები	14,732	41,761
	2,676,714	2,399,623
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(1,419,316)	(1,419,316)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	1,257,398	980,307

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად.

სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის ვადა დაახლოებით 30-90 დღეა, რომელსაც არ ერიცხება პროცენტი.

ხელმძღვანელობა მოთხოვნების დაფარვიანობას აფასებს წარსულ გამოცდილებასა და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. თუმცა შესაძლოა მათი დაფარვის რეალური მაჩვენებლები განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მოლოდინებისგან.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის 1,419,316 ლარის სავაჭრო მოთხოვნები ვადაგადაცილებული აღმოჩნდა 12 თვეზე მეტ ხანს.

8 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ფული საღაროში	-	-
საბანკო ანგარიშები	23,785,328	1,650,419
	23,785,328	1,650,419

ჯგუფის მთლიანი ფულადი სახსრები განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე.

9 კაპიტალი

9.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. გამოცხადებული კაპიტალი მთლიანადაა განადგურებული. კაპიტალში შენატანები ხორციელდება როგორც ფულადი, ასევე არაფულადი ფორმით.

საწესდებო კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს პარტნიორთა გადაწყვეტილებით. პარტნიორთა კრებაზე შესაძლებელია გამოცხადდეს დივიდენდების გაცემა კომპანიის ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 335,755,375 ლარს.

10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	607,505	1,588,261
ვალდებულებები პერსონალისადმი	367,237	172,386
გადასახდელი გადასახადები (შენიშვნა 10.1)	1,274,748	-
	2,249,490	1,760,647

10.1 გადასახდელი გადასახადები

ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
მოგების გადასახადი	254,530	-
საშემოსავლო	(787,856)	-
გადასახდელი დღგ	(10,518,285)	-
უკუდაბეგერის დღგ	(42,240)	-
ჩასათვლელი დღგ	12,584,421	-
აქციზი	2,084	-
ქონების გადასახადი	(2,735,103)	-
მიწის გადასახადი	(69,142)	-
სხვა	36,843	-
	(1,274,748)	-

11 სესხები

ლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
სესხი სს საქართველოს ბანკისგან	-	-	-	21,561,648
სესხი შპს აკურასგან	70,000	-	4,500,000	-
სესხი შპს ქართული ბოსტნეულისგან	-	815,461	-	-
	70,000	815,461	4,500,000	21,561,648

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის სესხები აღებულია დაკავშირებული მხარეებისაგან.

სესხზე საპროცენტო განაკვეთი არის 14-16% წლიური. სესხები არაუზრუნველყოფილია.

12 მიღებული დაფინანსება

მიღებული დაფინანსება წარმოადგენს დამფუძნებლისაგან მიღებულ თანხას კონკრეტული დანიშნულებით – 2017 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიას მიღებული ქონდა 3,556,440 ლარი საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის №265 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში 29 ერთეული 80 ცხ.ძ-იანი ტრაქტორის შესყიდვის მიზნით.

13 სპერტო დ ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ადმინისტრაციის ხელფასი	1,939,313	2,100,220
ადმინისტრაციის ხელფასი (სერვის ცენტრები)	934,329	990,539
სხვა თანამშრომელთა ანაზღაურება	684,916	816,902
ადმინისტრაციის საწვავის ხარჯი	270,938	225,209
ტექნიკის დაზღვევა	209,407	413,850
ავტოპარკის მოვლა	135,625	190,504
კომუნალური გადასახადები	121,739	123,110
საიჯარო ხარჯები	117,663	122,637
მივლინებები	113,708	191,019
ბონუსები და ჯილდოები	105,451	266,479
კომუნიკაციის ხარჯები	54,308	48,139
საკონსულტაციო და აუდიტორული მომსახურებები	32,860	27,675
სხვა მომსახურების ხარჯები	31,547	10,734
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	25,402	49,216
უსაფრთხოება	22,108	17,681
რეკლამა და მარკეტინგი	21,916	24,625
საკანცელარიო და საოფისე ხარჯები	20,194	31,612
ავტოპარკის დაზღვევა	18,137	36,156
პასუხისმგებლობის დაზღვევა	7,500	11,250
უძრავი ქონების დაზღვევა	6,976	18,791
სხვა საექსპლუატაციო ხარჯი	6,555	9,552
სხვა საწვავის ხარჯი	6,375	22,492
ბანკის მომსახურება	3,507	7,449
თანამშრომელთა სხვა სარგებელი	1,276	625
ტრენინგები	200	814
	4,891,950	5,757,280

14 სხვა არასოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

ლარი

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ჯარის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	7,582	26,609
სხვა შემოსავალი	6,734	10
ზარალის კომპენსაცია	6,562	450,422
ჯარიმებიდან მიღებული თანხები	5,031	8,905
უსასყიდლოდ მიღებული ფასეულობები	4,828	16,633
უიმედო და საეჭვო ვალების ხარჯი	-	(1,419,316)
სხვა არასოპერაციო ხარჯები	(225)	(2,225)
სხვა საგადასახადო ხარჯები და ჯარიმები	(12,596)	(35,080)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	(1,147,506)	(326,279)
	(1,129,590)	(1,280,321)

15 ანგარიშის წარდგენის შემდგომი მოვლენები

2018 წლის მარტში ჯგუფში განხორციელდა რეორგანიზაცია და შეიღობილი კომპანიები, შპს მიწის რეაბილიტაციის სააგენტო და შპს ქართული ბოსტნეული შეერწყა შპს მექანიზატორს.

ანგარიშის წარდგენის შემდგომ აღგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებიც გავლენას მოახდენდა არსებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე.

16 მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

16.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ჯგუფი შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შეფასებები, განმარტების თანახმად, შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს. შეფასებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო მომსახურების ვადები

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო პერიოდის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

საექვო ვალები

ჯგუფი აფასებს მისაღები მოთხოვნების ამოღების დონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების დონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებისგან.

მარაგების გაუფასურების რეზერვი

მარაგებთან დაკავშირებული ანარიცხების საბალანსო ღირებულების განსაზღვრა გულისხმობს ვარაუდის ჩამოყალიბებას გარკვეული პროდუქციის, კომპონენტის, სათადარიგო ნაწილების სამომავლო მოთხოვნებზე, რომელიც შეიძლება სწორი არ აღმოჩნდეს, თუ კომპანია გარკვეულ კომპონენტებს განსხვავებული გზით გამოიყენებს, ან თუ შესაძლებელი იქნება მათი რეალიზაცია ნავარაუდებისგან განსხვავებული ღირებულებით.

16.2 საქმიანობის განგრძობასთან დაკავშირებული დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს მისი აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებას ბიზნესის განგრძობითი კურსის პირობებში.

ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა ბალანსის მიხედვით საკმაოდ მყარია, რამდენადაც მხოლოდ წმინდა ფულადი სახსრების ნაშთიც კი საკმარისია ყველა ვალდებულების დასაფარად, თუმცა ჯგუფის მომავალი ფუნქციონირება დამოკიდებულია მისი 100%-ანი მფლობელის გადაწყვეტილებაზე, რომელიც რეალურად საქართველოს მთავრობას წარმოადგენს და, შესაბამისად შესაძლოა ჯგუფის საქმიანობის გაგრძელებაზე გადაწყვეტილება არა მხოლოდ წმინდა კომერციული მიზნებით იყოს მიღებული.

17 ფინანსური ინსტრუმენტები

17.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3-ში.

17.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

ფინანსური აქტივები

ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
სესხები და მოთხოვნები:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,257,398	980,307
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	23,785,328	1,650,419
	25,042,726	2,630,726

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით:	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
სესხები	5,419,129	22,377,109
სავაჭრო ვალდებულებები	2,249,490	1,760,647
	7,668,619	24,137,756

18 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

ჯგუფი არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც ჯგუფთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის გაქრობები

საბაზრო რისკი

ჯგუფს აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ჯგუფს არ გააჩნია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან არსებული სესხები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით არის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაქონს ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების გამო, მაგალითად მოთხოვნების გამო.

მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები:		
მოთხოვნები	1,257,398	980,307
ფული საბანკო ანგარიშებზე	23,785,328	1,650,419
	25,042,726	2,630,726

რეპორტის გამოშვების თარიღისთვის არ იყო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან აღნიშნული ბანკები წარმოადგენენ კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

ჯგუფი ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ჯგუფს არ აქვს მნიშვნელოვანი ლიკვიდურობის რისკი რამდენადაც მისი მოკლევადიანი აქტივები თითქმის 4-ჯერ მეტია მოკლევადიან ვალდებულებებზე, ხოლო მთლიანი აქტივები ვალდებულებებს 15-ჯერ აღემატება.

19 სამართლიანი ღირებულება

ჯგუფი ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე. დონეები განმარტებულია ქვემოთ:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2- სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივისა ან ვალდებულების; და
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები).

20 კაპიტალის რისკის მართვა

რამდენადაც ჯგუფი სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ არის, მისი საქმიანობის მთავარი მიზანი არ არის მოგების მიღება და განაწილება მფლობელებზე. მენეჯმენტის მთავარი მიზანი კაპიტალის მართვაში არის საკმარისი კაპიტალის და დაფინანსების მიღება და შენარჩუნება რათა შეძლოს შესთავაზოს და გაუწიოს მომსახურება მის სამიზნე ჯგუფებს კონკურენტული მომსახურების ტარიფებით. საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი მიმართავს დამფუძნებელს საჭირო დაფინანსების მისაღებად.

21 ბაუთვალისწინებული გარემოებები

21.1 ბიზნეს გარემო

როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე.

კრიზისი მსოფლიო ეკონომიკაში, შეიძლება შეეხოს საქართველოსთან მოთანამშრომლე ქვეყნებს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ჯგუფზეც, მაგალითად რეალიზაციაზე, ფონდების მოძიებაზე და ა.შ. ყველა ამ პრობლემამ შეიძლება მნიშვნელოვანი სირთულეები შეუქმნას ლიკვიდურობის თვალსაზრისით, და შეიძლება დადგეს მისი სიცოცხლისუნარიანობის საკითხი. უფრო რთულ საბაზრო კრიზისის შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკა და კომპანიის მდგომარეობა, შეიძლება გაუარესდეს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი მაჩვენებლები მრავლადაა, მენეჯმენტს არ შეუძლია გააკეთოს სანდო შეფასება, თუ რომელ აქტივებსა და ვალდებულებებზე ექნება გავლენა. შესაბამისად, კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები არ მოიცავს კორექტირებებს, რომელიც შეიძლება ჩათვლილიყო საჭიროდ ზემოთხსენებული ფაქტორების შემთხვევაში.

21.2 საგადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილი არიან კანონით დაარიცხონ ჯარიმები და საურავები.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ადეკვატურად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს, ყველა მოთხოვნასა და განმარტებასთან შესაბამისად. თუმცა, შესაძლოა, რომ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხზე განსხვავებული განმარტებები გააკეთონ, რა შემთხვევაშიც ეფექტი კომპანიაზე შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

21.3 გარემოს დაცვა

მენეჯმენტის აზრით, ჯგუფს შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხში. შესაბამისად მიიჩნევს, რომ მას არ აქვს გარემოსდაცვით რეგულაციებთან შესაბამისობასთან დაკავშირებული რაიმე მიმდინარე ვალდებულება. საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობაში მიმდინარეობს ცვლილებები, რაც არ გამორიცხავს შემდგომში ახალი კანონმდებლობით განპირობებული ვალდებულებების წარმოქმნას.

22 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი აქციონერები, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და ძირითადი ხელმძღვანელობა.

22.1 საკონტროლო ურთიერთობები

ჯგუფის 100%-ის მფლობელია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, შესაბამისად იგი სრულად აკონტროლებს კომპანიას.

22.2 ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან

ლარი ბალანსები	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
<i>ჯგუფის მფლობელი</i>		
საეჭრო და სხვა მოთხოვნები	1,084	1,084
საეჭრო და სხვა ვალდებულებები	(146,127)	-
<i>ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები</i>		
საეჭრო და სხვა მოთხოვნები	-	37,331
საეჭრო და სხვა ვალდებულებები	76,884	-